# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

**Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia**

KA030151904143420

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge


**№ 01/12496** **12 / ოქტომბერი / 2020 წ.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურს

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 ოქტომბრის № 1960 განკარგულების თანახმად საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმდა ჯანდაცვის სფეროში დონაციის თაობაზე შეთანხმება, რომლის ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამოეგზავნა კორონავირუსით გამოწვეული დაავადებების სამკურნალო შემდეგი დასახელების მედიკამენტები და თურქული კომპანია Gensutek Saglik Teknolojileri A.S.-ის მიერ წარმოებული კორონავირუსის სადიაგნოსტიკო 50 000 ცალი PCR ტესტის ნაკრები (Coronex Covid-19 Q PCR Test Kit 1000 Rxn):

| მედიკამენტის გენერიკული დასახელება | ტაბლეტი/ ამპულა | ყუთი | ტაბლეტის/ ამპულის რაოდენობა თითოეულ ყუთში | ტაბლეტის/ ამპულის საერთო რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| Hydroxychloroquine sulfate 200 mg | ტაბლეტი | 2000 | 20 | 40 000 |
| Dexamethasone 4mg | ამპულა | 2000 | 1 | 2000 |
| Linezolid 600 mg | ტაბლეტი | 2000 | 10 | 20 000 |
| Favipiravir 200 mg | ტაბლეტი | 4000 | 40 | 160 000 |
| Meropenem 1.0 gr | ტაბლეტი | 2000 | 10 | 20 000 |

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის $11^{13}$ მუხლის (თ) ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თანახმაა, გააფორმოს თურქეთის მთავრობის მხრიდან საჩუქრად გადმოცემული ზემოხსენებული მედიკამენტები და ტესტები.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია